ბრძანება:**ბ12. 12242398**

თარიღი:**26/08/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობების უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს Nგ-13.1324235001 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებისა და „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს Nგ-13.13242353 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართით წარმოდგენილი მატერიალური ფასეულობების, პრივატიზებასთან დაკავშირებით;

2.ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართით წარმოდგენილი მატერიალური ფასეულობების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განსაზღვრულია დანართში შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის“ 2024 წლის 12 აგვისტოს N405 და 2024 წლის 20 აგვისტოს N418 აუდიტორული დასკვნების თანახმად;

3.დანართით წარმოდგენილი მატერიალური ფასეულობების უპირობო და

გამოუხმობი საბანკო გარანტია „ბე“ განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 50%-ის ოდენობით;

4.დანართით წარმოდგენილი მატერიალური ფასეულობების ბიჯი განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

5.დანართით წარმოდგენილი მატერიალური ფასეულობები ელექტრონულ აუქციონზე გამოცხადდეს ცალ - ცალკე ლოტებად.

6.განისაზღვროს უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი: 2024 წლის 30 აგვისტოს 16:00 საათიდან - 2024 წლის 09 სექტემბრის 15:30 საათამდე;

7.უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

8.უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება;

9.უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება;

10.თანხა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: „ხაზინის ერთიანი ანგარიში“

მიმღები ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა“

ბანკის კოდი: TRESGE22

სახაზინო კოდი: 300883380

11.უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკურმა სამსახურმა წინამდებარე ბრძანების განთავსება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას;

12.უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო მოძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის განთავსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge;

13.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

14.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0800 ქ. ახალციხე, მ. კოსტავას ქ. № 18
№ 18 M. Kostava str, 0800 Akhaltsikhe